

1940/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივლისის 29

№ 19

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

- 70. საქართველოს სსრ ქალაქებში ერთბაშად აღმშენებულ სახლთმფლობელთა და აღმნაგთა მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ.
- 71. საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნებისა და მიწების სარეგისტრაციო სახელმწიფო წიგნების შეესების მიმდინარეობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 72. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს საწარმოთა მომხარაგებელ ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურისა და შტატების შესახებ.
- 73. სამანქანო სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებული სამუშაოებისათვის (გალეწვის გარდა) ნატურანაზღაურების დასარიცხავად ცალკეული მარცვლეული კულტურების პროცენტული თანაფარდობის დაწესების შესახებ.
- 74. დამცველთა კოლეგიის დებულების გაუქმების შესახებ.
- 75. კომუნალური სადგურების და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.
- 76. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მომხარაგებელ ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

4284



ლილი და გამოტოვებული ადგილები, აქტები დაუდევრად ინახება, არის დასახლებული მწიფო აქტების, აგრეთვე აზომვის აქტის ცალკეული ფურცლების დაკარგვის შემთხვევები და სხვ.

ზოგიერთ რაიონს სახელმწიფო აქტებში არ აღუნიშნავს ის ცვლილებანი, რაც საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში მოხდა კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო აქტების მიცემის შემდეგ, განსაკუთრებით კოლმეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის ჩატარების შემდეგ, რის შედეგადაც კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტებით მიმაგრებული მიწების ფართობი არ შეესაბამება კოლმეურნეობათა ფაქტიურ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობს.

სუსტად ტარდება მასალების წინასწარი მომზადება ჩასაწერად, რის გამო შევსებულ ზონარგაყრილ წიგნებს დიდი დეფექტები ახლავს, ჩანაწერები წაშლილი და გადასწორებულია (ხაშურის, ბორჯომის, გეგეუკორის და სხვ. რაიონები).

საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსების მიმდინარეობის ასეთი მდგომარეობა იმით იხსნება, რომ საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყურადღებას არ აქცევენ საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსების საკითხებს და მათ ეს საქმე მთლიანად რაიონულ სამიწადმოქმედო განყოფილებებსა და მიწათმომწყობებს მიახდეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) შეამოწმონ საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსების მდგომარეობა და თვითიველი კოლმეურნეობის მიხედვით დასაბონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ წიგნების დროულად და ხარისხოვნად შევსებას;

ბ) ორი კვირის ვადაში ჩაატარონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და ბუხჰალტრების საინსტრუქციო თათბირი, რომელზედაც დაწვრილებით განმარტონ მასალების წინასწარი მომზადების და საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსების წესი.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უმოკლეს ვადაში მოიყვანონ წესრიგში კოლმეურნეობათა სახელმწიფო აქტები, კოლმეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის აქტები, შეიტანონ ამ აქტებში სათანადო ცვლილებანი, რაც მოხდა კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო აქტების ჩაბარებისა და საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის ჩატარების შემდეგ;

ბ) იმ კოლმეურნეობებში, სადაც არ მოიპოვება ცნობები ფართობების შესახებ ცალკეული სავარგულების მიხედვით (ბუჩქნარები, ტყეები, გზები, ჭაობები და სხვ.), მიწათმომწყობთა ხელმძღვანელობით და საკოლმეურნეო მშობამეთა მონაწილეობით ჩაატარონ ამ სავარგულების აზომვა და უზრუნველყონ მათი ოდენობის შეტანა საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნის სათანადო კარში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად გამოავლინოს ის კოლმეურნეობანი, რომლებმაც დაჰკარგეს ან წაახდინეს მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტები და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრას საკითხი მათთვის ახალი აქტების მიცემის შესახებ, ამასთან ერთად პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით აქტების დაკარგვას ან წაახდენაში.

ბ) გაგზავნოს რაიონებში მიწისმზომელები, რომლებიც ინსტრუქტაჟს და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ რაიმიწვანებს საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსების საქმეში.

4. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განუმარტონ კოლმეურნეობებს და საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შემვსებ მუშაკებს, რომ:

ა) საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილ წიგნებში ჩანაწერი და ცვლილებანი შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს სათანადო დოკუმენტები, ასეთ დოკუმენტებათ ითვლება: მთავრობის ორგანოების დადგენილება, მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტი, კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილება და სადირექტივო ორგანოების მითითებანი;

ბ) საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნი ინახება მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტისა და ფულადი დოკუმენტების თანაბრად.

თუ ამ საქმეში აღმოჩენილ იქნა დაუდევრობა და ბოროტმოქმედება, დანაშავენი მიცემულ უნდა იქნენ სასტიკ პასუხისგებაში.

5. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სისტემატურად კონტროლი გაუწიონ საკოლმეურნეო მიწების ზონარგაყრილი წიგნების შევსებას და ყოველკვირეულად მოაწოდონ ინფორმაცია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წიგნების შევსების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე

ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

კ. ჩარკვიანი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

72. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საფეიქრო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, სავტომობილო-ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს საწარმოთა მომმარაგებელ ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სახალხო კომისარიატებში, უწყებებში და ორგანიზაციებში პატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ უდიდეს ნაკლოვანებებს.

შექმნილია მრავალი სამომარაგებო ორგანიზაციები, განყოფილებები, სექტორები და ჯგუფები, მეტად დიდი შტატებით, რაც არაფრით არ არის გამართლებული, ასე მაგალითად, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში გასაღების ოპერაციებზე მუშაობს 383 კაცი, აქედან 83 კაცი მომარაგება-გასაღებათა ცენტრალურ აპარატში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში არსებობს მომარაგებისა და გასაღების შემდეგი განყოფილებები: მატერიალური ბალანსის სექტორი, აგრეთვე სამანქანო მრეწველობისა, სამთო მრეწველობისა და კულტოლოგიკური მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან არსებული მომარაგება-გასაღების განყოფილებები.

მომარაგების დარგში ეს განყოფილებები თითქმის ერთნაირ მუშაობას აწარმოებენ, ქმნიან პარალელიზმს, აგვიანებენ მომარაგების საკითხების გადაჭრას, რის შედეგად არ ხორციელდება ოპერატიულობა მშენებლობებისა და წარმოებათა მომარაგებაში, გარდა ამისა, იმ ბაზებისა და საწყობების დიდი რაოდენობის გამო, რომლებზედაც შემოდის საქონელი სასაწყობო ოპერაციები ღებულობენ დიდ მასშტაბს და ხდება მასალების გაძვირება.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სისტემაში არსებობს მომარაგების 4 ცენტრალური ორგანო: თბილკომუნმომარაგება, საბინაო მომარაგება, თბილმშენის ტექმომარაგება და ინჟინერის ტექმომარაგება და, გარდა ამისა, საწარმოებთან, ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტთან, წყალკანალტრესტთან, საბანაო-სამრეცხაო მეურნეობის ტრესტთან, თელასთან და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან არსებობენ წვრილი საექსპედიტორო სექტორები დიდი სასაწყობო მეურნეობით და გაბერილი შტატებით. მეტად გაზრდილია სასაწყობო ოპერაციები, იზრდება ფასწინამატები და ზედნადები ხარჯები, რის გამო ძირითადი მომხმარებელი საგრძნობი ფასწინამატით ღებულობს ამ მასალებს, რომ არაფერი ითქვას მშენებლობებისა და წარმოებების მომარაგების საქმის შეფერხების შესახებ.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება მატერიალურ-ტექნიკური გების საქმე აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სხვა სახკომატებში, უწყებებში და ორგანიზაციებში.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 5 აპრილის დადგენილებისა „სამეურნეო სახკომატების მომარაგების ორგანოთა საორგანიზაციო სტრუქტურის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 10, მუხ. 255), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ სამეურნეო სახკომატებში და მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შემდეგი საორგანიზაციო სტრუქტურა მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანოებისა (სასაწყობო მეურნეობის გარდა) და დაეკისროს მათ მთელი მუშაობა მატერიალურ-ტექნიკური მომმარაგების და გასაღების აგრეთვე დეცენტრალიზებული დამზადებების დარგში:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მატერიალური ბალანსის სექტორის და დარგობრივ სამმართველოთა მომმარაგება-გასაღების არსებული მთავარ სამმართველოთა ბაზაზე მოეწყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახკომატთან მომმარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო 26 საშტატო ერთეულით, არსებული 59 საშტატო ერთეულის ნაცვლად;

ბ) საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—მომმარაგების ჯგუფის და დარგობრივ სამმართველოთა მომმარაგება-გასაღების განყოფილებების ბაზაზე მოეწყოს სახკომატთან მომმარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო 27 საშტატო ერთეულით, ნაცვლად არსებული 44 ერთეულისა.

გ) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—მომმარაგების ჯგუფებისა და დარგობრივ სამმართველოთა მომმარაგება-გასაღების ბაზაზე მოეწყოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომატის მომმარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო 40 საშტატო ერთეულით ნაცვლად არსებული 83 ერთეულისა;

დ) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—საქართველოს სატყეო მრეწველობის სახკომატის ტექმომმარაგების ტრესტი რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახკომატის მომმარაგების მთავარ სამმართველოდ 16 საშტატო ერთეულით, არსებული 27 ერთეულის ნაცვლად;

ე) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ხაზით—სახკომატის ავტოტექმომმარაგება რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახკომატის ავტოტექმომმარაგების მთავარ სამმართველოდ 13 საშტატო ერთეულით, ნაცვლად არსებული 15 ერთეულისა.

ვ) თბილისის ქალაქის საბჭოს ხაზით—არსებული ტრესტების—თბილისის მუნიციპალიტეტისა და საბინაო მომარაგების ტრესტების ბაზაზე მოეწყოს თბილისის ქალაქის საბჭოსთან ტრესტი „თბილმომარაგება“ 30 საშტატო ერთეულით, ნაცვლად არსებული 83 ერთეულისა. უკანასკნელისათვის აღნიშნულ მომარაგებელ ორგანოთა სასაწყობო მეურნეობის, დამზარებ საწარმოთა და საევაქრო ქსელის გადაცემით.

ზ) შემცირდეს შტატები თბილმშენის ტექნომომარაგებისა 38-დან 15 ერთეულამდე, ინჟინერის ტექნომომარაგებისა—15,5-დან 7 ერთეულამდე, ტრამვაისა და ტროლეიბუსის ტრესტის მატერიალური განყოფილების—46-დან 15 ერთეულამდე, თელასის 9-დან 5 ერთეულამდე და ლიკვიდირებულ იქნას საბანაო-სამრეცხავო და საპარკმახერო მეურნეობის ტრესტთან არსებული საექსპედიტორო მომარაგებელი ჯგუფი, ხოლო ამ ტრესტის მომარაგება დაევალოს ტრესტს „თბილმომარაგებას“.

2. დაევალოს ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ სახკომატებს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სსრ ფინსახკომთან ერთად 5 დღის ვადაში დაამტკიცონ—ახალი მომარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციათა სტრუქტურა და, გარდა ამისა, შემცირონ ბაზებისა და საწყობების რაოდენობა და მათი შტატები და ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ორი დეკადის ვადაში.

3. მომარაგებელ — გამსაღებელი ორგანიზაციათა შტატების შემცირებასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომის სახკომატებთან და ორგანიზაციებთან ერთად დააწესოს ხელფასის ფონდები და შტატებისა და სასაწყობო ოპერაციების შემცირებით მიღებული ეკონომია გადარიცხოს ბიუჯეტში.

4. დაევალოს კომისიას ამხ. გ. სტურუას თავმჯდომარეობით და ამხანაგების—ციმაკურიძის, წიკლაურის, გიორგაძის, ბუხნიკაშვილის, თარგამაძის, ფიცხელაურის და გორდენიანის შემადგენლობით 5 დღის ვადაში წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის (მთავარ საკურორტო სამმართველოს ჩათვლით), კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მომარაგების ორგანოთა რეორგანიზაციის შესახებ, ამასთანავე გაითვალისწინონ როგორც თვით ორგანიზაციების, ისე მათი შტატების მნიშვნელოვანი შემცირების აუცილებლობა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აგრეთვე საქართველოს სსრ სახკომატებისა და უწყებების ხელმძღვანელთ დააწესონ მკაცრი სისტემატუ-

რი კონტროლი „სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 9 დეკემბრის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 64, მუხ. 518) ზუსტ შესრულებაზე.

6. მატერიალური რესურსების ბრუნვის დაჩქარებისა და საწარმოოსათვის მასალების ღირებულების გაიაფების მიზნით:

ა) დაწესდეს, რომ მომარაგების სამმართველოთა და მათი ადგილობრივი ორგანოების სასაწყობო ოპერაციები არ შეიძლება აღემატებოდეს საერთო ბრუნვის 25—30 პროცენტს;

ბ) ფასწანამატები ფონდების რეალიზაციაზე და დეცენტრალიზებულ და-მზადებებზე გაწეული მომსახურებისათვის არ უნდა აღემატებოდნენ: სასაწყობო ოპერაციებზე ყველა ხარჯების (დასამზადებელი, ზედნადები და საორგანიზაციო) ჩათვლით — საწყობებიდან გაცემული (მრეწველობის ფასებში) საქონლის ღირებულების 6%-ს, ხოლო ტრანზიტებზე (მრეწველობის ფასებში) საქონლის განსაზღვრული ღირებულების 1%-ს.

აეკრძალოს მომმარაგებელ ორგანიზაციებს რაიმე სხვა დანარიცხების აღება თავის მომსახურებისათვის, დეცდამზადებების პუნქტებიდან რკინიგზით და წყლით გადაზიდვის და ავტოსაქაპანო გადაზიდვის ფაქტიური ხარჯების გარდა.

7. დავალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და შშრომელთა დებუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს 10 დღის ვადაში გადასინჯონ, ამა დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკური, საოლქო და ადგილობრივი ქვემდებარეობის მომმარაგებელ ორგანიზაციათა სტრუქტურა, შტატი და ქსელი, მომმარაგებელ ორგანიზაციათა ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციის და აპარატის შემცირების თვალსაზრისით და ჩატარებული მუშაობის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. დავალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ამხ. ხოშტარიას წარმოდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებანი მიწსახკომის მომმარაგებელ ორგანოთა შტატების შემცირების შესახებ, მათი არსებული სტრუქტურის შენარჩუნებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ბ. ჯვარიშვილი.

73. სამანქანო სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებული სამუშაოებისათვის (გალეწვის გარდა) ნატურანაზღაურების დასარიცხავად ცალკეული მარცვლეული კულტურების პროცენტული თანაფარდობის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს საქართველოს სსრ რაიონების მიხედვით სამანქანო სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებული სამუშაოებისათვის (გალეწვის გარდა) ნატურანაზღაურების დასარიცხავად ცალკეული მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ფეტვი და სხვა მარცვლეული კულტურები) შემდეგი პროცენტული თანაფარდობა.

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ცალკეული მარცვლეული კულტურების პროცენტული თანაფარდობა		
	ხორბალი	ფეტვი	დანარჩენი მარცვლ. კულტურები (მათ შორის სიმინდი)
1. ახალქალაქის	40	—	60
2. ბორჩალოს	88	—	12
3. ბოგდანოვკის	33	—	67
4. ახალციხის	75	—	25
5. ადიგენის	33	—	67
6. ხაშურის	60	—	40
7. გ ო რ ი ს	60	—	40
8. კასპის	60	—	40
9. ქარელის	60	—	40
10. გურჯაანის	86	—	14
11. სიღნაღის	90	4	6
12. წითელწყაროს	90	5	5
13. თელავის	83	5	12
14. ყვარლის	91	3	6
15. ლაგოდეხის	91	—	9
16. თბილისის	66	—	34
17. მცხეთის	66	—	34
18. ყარაიას	87	—	13
19. ლუქსემბურგის	87	—	13
20. წალკის	50	—	50
21. დუშეთის	33	—	67
22. აღბულაღის	50	—	50
23. საგარეჯოს	66	—	34
24. ბაშკირეთის	66	—	34

რ ა ი ო ნ ე ბ ი

ცალკეული მარცვლეული კულტურების
პროცენტული თანაფარდობა

ხორბალი	ფეტვი	დანარჩენი მარცვლ. კულტურები (მათ შორის სიმინდი)
---------	-------	---

25. თიანეთის	50	—	50
26. სტალინირის	75	—	25
27. ზნაურის	50	—	50
28. ლენინგორის	33	—	67
29. ქუთაისის	—	—	100
30. სამტრედიის	—	—	100
31. წულუკიძის	—	—	100
32. ვ ა ნ ი ს	—	—	100
33. ზესტაფონის	—	—	100
34. აბაშის	—	—	100
35. ცხაკაიას	—	—	100
36. გეგეკორის	—	—	100
37. ზუგდიდის	—	—	100
38. ხ ო ბ ი ს	—	—	100
39. წალენჯიხის	—	—	100
40. მახარაძის	—	—	100
41. ლანჩხუთის	—	—	100
42. აფხაზეთის ასსრ რაიონები	—	—	100

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ივლისის 18. № 1350.

თბილისი.

74. დამცველთა კოლეგიის დებულების გაუქმების შესახებ.

„სსრ კავშირის ადვოკატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 16 აგვისტოს დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 49, მუხ. 394) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას დებულება დამცველთა კოლეგიების შესახებ, რაც დამტკიცებული იყო საქ. სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წ. 14 მაისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 13, მუხ. 126).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ივლისი 19. № 1357.

თბილისი.

75. კომუნალური სადგურების და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერჯიის ტარიფების თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ელექტრო სადგურების სახალხო კომისარიატის რაიონული ელექტროსადგურების მიერ გაცემულ ელექტროენერჯიისა და თბოენერჯიის ტარიფების შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 8 მარტის № 347 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივლისის დადგენილება „კომუნალური სადგურების და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერჯიის ტარიფების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 17 მუხ. 85; საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 1 მუხ. 2).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ივლისი 19. № 1358.

თბილისი.

76. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მომმარაგებელ ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 6 ივლისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებისა და მშრომელთა დებუტატე-

ბის თბილისის ქალაქის საბჭოს, საწარმოთა მომმარაგებელ ორგანოების სტრუქტურისა და შტატების შესახებ“ (საქ. სსრ დად. კრ. 1940 წ. № 19, მუხ. 72) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

ა) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით:

„საქმომარაგების“ შტატი შემცირების შემდეგ, განისაზღვროს 55 ერთეულის რაოდენობით, ხოლო 1940 წლის ხელფასის ფონდი—347,2 ათასი მან. რაოდენობით.

ბ) ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ხაზით:

1. ლიკვიდირებულ იქნას 1940 წ. 1 ავგვისტოდან თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მედმომარაგება და მთავარი საკურორტო სამმართველოს მომარაგების განყოფილება—და დატოვებულ იქნას თითო საშტატო ერთეული—ლიკვიდირებული 8 $\frac{1}{2}$ ერთეულის 7 თვის ხარჯის გათვალისწინებით—44,5 ათასი მან. 1940 წლის ხელფასის ფონდით.

მთავარ საკურორტო სამმართველოს და თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ლიკვიდირებულ მომარაგების განყოფილებათა ფუნქციები დაეკისროს საქართველოს სსრ ჯანსახკომის საქმედამზადება-მომარაგებას

2. საქმედამზადება-მომარაგების შტატი, შემცირების შემდეგ, განისაზღვროს 29 ერთეულის რაოდენობით და 1940 წლის ხელფასის ფონდით—164,5 ათასი მან. რაოდენობით.

გ) ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით:

დატოვებულ იქნას ხორცისა და რძის მომარაგების საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, მისი შტატი, შემცირების შემდეგ, განისაზღვროს 14 ერთეულის რაოდენობით და 1940 წლის ხელფასის ფონდი—87,0 ათასი მან. რაოდენობით.

დ) ადგილობრივი საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ხაზით:

დატოვებულ იქნას მომარაგება-გასაღების კანტორა, მისი შტატი, შემცირების შემდეგ, განისაზღვროს 12 ერთეულის რაოდენობით და 1940 წლის ხელფასის ფონდი 65,4 ათასი მან. რაოდენობით.

ე) დავეალოს ამა დადგენილებაში აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს საქართველოს სსრ ფინსახკომთან ერთად შეამცირონ ბაზებისა და საწყობების რაოდენობა, აგრეთვე შტატებიც;

ვ) მომარაგება-გასაღების ორგანიზაციათა შტატების, აგრეთვე ბაზებისა და საწყობების შემცირებასთან დაკავშირებით; წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ვადარიცხოს ბიუჯეტში ამა დადგენილებაში აღნიშნულ ორგანიზაციათაგან შტატების შემცირების შედეგად ხელფასის დარღვი მიღებული ეკონომია.

ზ) წინადადება მიეცეს ამა დადგენილებაში აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს არა უგვიანეს 1940 წლის 25 ივლისისა დაამტკიცონ საშტატო განაწესები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრული საშტატო კონტინგენტის და ხელფასის ფონდების ფარგლებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ივლისის 19. № 1369.
თბილისი



ი. 600/300



გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ზერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

უფ. УЭ 4215

შეკვეთა. (Зак.) № 1223

ტირაჟი (Тираж) 2000